№ 117. 9 ივნისი, სამშაბათი. 1866—1881 9 ივნისი, სამშაბათი. № 117.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადების**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (ხიდაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთა-თვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

უმდაბლესად გსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვაგვალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

ხუთშაბათს, 11 ივნისს, თფილისის საზაფხულო თეატრში არის დანიშნული

გამოსასალმებელი

**კონცერტი**

სომხური დრამატიულ ტრუპპის აქტიორის ბ-ნი **ადამიანისა**. მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ღიაროვი ჩიმიშკიანი. პოპოვისა, სირანუში, ჩიმიშკიანისა. სხვათა შორის წარმოადგენენ რამდენსამე ადგილს შილლერის დრამიდამ „ავაზაკნი“ და „პარიჟის ღლახებიდამ“. ბ. ადამიანი წაიკითხავს თავის ლექსებს. (2—1)

## ჩვენ რა დავაშავეთ?

ტფილისი, 8 ივნისს.

ბევრჯელ ყოფილა სიტყვიერადაც და ბეჭდვიდაც თქმული და განმეორებული ის ჭეშმარიტება, რომ ყოველივე საზოგადო დაწესებულება, მაგალითებრ: სახალხო სწავლა-განათლება, სამართალი და სხვა უნდა მიდიოდეს სამშობლო ანუ დედა-ენაზედ, იმ ენაზედ, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს, სწერს, ჰკითხულობს, ერთის სიტყვით, იმ ენაზედ, რომელიც იმის არსებით თვისებათ ითვლება.

ყველამ ვიცით, რომ რუსეთის სხვა და სხვა ხალხების დეპუტაციებმა, შემთხვევის შემწეობით, იშუამდგომლეს ხელმწიფე იმპერატორთან თავის მდგომარეობის გაუმჯობესობა: ვინ ერობის დაწესებას თხოულობდა, ვინ ერობის ზოგიერთ ახალ უფლებების მინიჭებას, ვინ სასწავლებლებში და სასამართლოებში დედა-ენის შემოღებას და სხ. და ჩვენ კი ამ შემთხვევით, თუმცა ბევრჯელ შეგვეძლო, ვერ ვისარგებლეთ.

რუსეთის სხვა და სხვა ხალხნი ელირსნენ ამ მხრით თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, თავის მეოხებით, ზრუნვით და უმაღლესის ნებართვით და ჩვენ კი, „ვითარცა მშიერნი მანნას“, შევჩერებივართ,—არც კი ვიცით რას?

ეს ჩვენი სენი, უზრუნველობა მომაგონა ერთმა შემთხვევამ. ამ დღეებში წავიკითხე ერთს რუსულ გაზეთში სამართლის მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც ამ წელს, უმაღლესის ბრძანებით, ბალტიის ზღვის ნაპირა გუბერნიებში შემოღებულ იქმნა იგივე წესები და სამართალი, როგორიც არის ჩვენში, იგივე მომრიგებელი სასამართლოები, იმ გვარივე განაწილებით, როგორიც არის ჩვენში და მთელს იმპერიაში. მაგრამ, რადგან რუსული ენა ისეთივე უცხო ენაა ამ გუბერნიებში, როგორც ჩვენში, ამისათვის ადგილობრივ საზოგადოებას წარუდგენია თხოვნა მიეცესთ უფლება თავის დედა ენაზედ სამართლის წაყვანისა და საქმის წარმოებისა. მთავრობა ამ შუამდგომლობაზე დათანხმებულა და საჭიროდ დაუნახავს 1364 წ. „სასამართლო წესდების“ (Судебные уставы) გადათარგმნა იმ ენებზედ, რომელნიც ბალტიის გუბერნიებში იხმარება; ეს ენები გახლავსთ სამი: ნემეცური, ესტონური და ლატიშური.

ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ სამართლის სამინისტრო ცდილობს მალე გაიდათარგმნოს ხსენებული „წესდება“ და, როგორც სწერს გაზეთი „გოლოსი“, მინისტრს კიდევაც უთხოვნია ამ საგნისათვის საჭირო ფულები.

ყოველი ამგვარი მოვლენა ძალაუნებურად დაგვაფიქრებს ხოლმე ჩვენს მდგომარეობაზედ: მადლობა ღმერთს, ჩვენი მამულის შვილებში ბევრი მოიპოვებიან ამ ჟამად იმისთანაები, რომელთაც სასიქადულოდ შეუძლიანთ დაიჭირონ მოსამართლეების ადგილი და პატიოსნად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

დღესაც ბევრნი არიან ჩვენებურები ამ ადგილებზე; მაგრამ რა გამოვიდა? მიდის საწყალი გლეხი თავ-ქუდმოგლეჯილი სასამართლოში და იმის მაგიერად რომ პირადად მოელაპარაკოს მოსამართლეს თავის გარდასავალზედ და გაჭირებაზედ, უნდა გარდასცეს თავის სიტყვები ვიღაც დამახინჯებულ ქართველ-რუსს თარჯიმანს, იმის დამტვრეულის ენით თავის სათქმელი მიაღწევს მოსამართლემდინ. ხშირად მოხდება ხოლმე აზრიც გამოიცვლება ზოგიერთ თარჯიმნების წყალობით. მოსამართლე კი ძალაუნებურათ ისმენს ამ გვარ დამახინჯებულ ლაპარაკს; სურვილიც რომ ჰქონდეს, კანონით, ნება არა აქვს ხმა ამოიღოს ქართულად. . . .

. . . . .

მგონია, დრო არის ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამგვარ საგნებს და იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს და წესია?

. . . . .

დ.

## ახალი განკარგულება მთავრობისა სამღვდელოების შესახებ

სოფლის ხალხს გამოეცხადათ მაზრის უფროსებისაგან, რომ მღვდლებს ჯვარ-საწერი თუმანზედ მეტი არ მიეცემათო და დასამარხავათ მიცვალებულისა სამ მანეთზედ მეტიო; ხოლო შტატის დებულება, ესე იგი, კოდის პური უნდა მიეცეთ სოფლის მაღაზიებიდანაო.

ესრეთი განკარგულება, რასაკვირველია, ძრიელ სასიამოვნოა; მაგრამ გასაჭირი ის არის, რომ ვერც სამრევლოთ და ვერც სამღვდელოთ ვერა გაგვიგია-რა; მაგალითებრ: მიცვალებულის დამარხვაზედ სამ მანეთზედ მეტი არ მიეცემათო; ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ მიცვალებული იქნება მოხუცებული და ყმაწვილი, ერთის თვისა და სამოცის წლისა, ამათ ორივეს მიცვალებული ჰქვიანთ, და ერთ ნაირათ უნდა ავიღოთ?

გარდა ამისა, როდესაც ბლაღოჩინმა გამოგვიცხადა ესრეთი მთავრობის განკარგულება თავისის მოწერილობით, შიგ ესრე ეწერა: მიცვალებულის დასაფლავებისათვის სამ მანეთზედ მეტი არ მიიღოთო, ხოლო სხვა წესის შესრულებისათვის, როგორც მორიგდებით მღვდლები და მრევლნიო. აი ეს არის გაუგებარი: რა არის სხვა წესის შესრულება? უთუოთ უნდა იყოს გარდახდა პანაშვიდებისა. წირვის დავალება მიცვალებულთათვის, აგრეთვე მარილის კურთხევა საჭიროების დროს. სამრევლონი ამბობენ: სამი მანეთის მეტს არ მოგცემთო, ეს არისო დამარხვისაც, პანაშვიდებისაც, წირვისაც და ყოველის წესის შესრულებისა, რაც კი რომ შეეხება მიცვალებულს; ხოლო ჩვენ სამღვდელოთ ესრე გვეყურება: დამარხვისათვის სამი მანეთი, ესე იგი, დასაფლავების დღეს ანდერძის-აგებისათვის მღვდელს თავისის კრებულით და შემდგომ როგორც მიცვალებულის პატრონი ინებებს, თუ გვახდევინებს პანაშვიდებს, ანუ გვაწირვინებს თავის მიცვალებულისათვის და შრომის ფასს, რასაც ალგვითქვამს, მოგვცემს, კარგი, თუ არა და თავის ნება არის, ნურცა რას მოგვცემს და ნურც შრომას გაგვაწევინებს. ამაში მღვდლებიც და სამრევლონიც ფიქრში არიან; ძრიელ კარგი იქნება, რომ შესახებ მიცვალებულის დასაფლავებისა დაწვრილებით იყოს მოხსენებული—თუ რა ავიღოთ დიდზედ და პატარაზედ დასაფლავების დღეს, შემდგომ რა გვერგება ვრცელი პანაშვიდების გარდახდისათვის და მოკლე პანაშვიდისათვის, აგრეთვე რა გვერგება წირვისათვის მიცვალებულისა და მარილის კურთხევისათვის, რომელსაც თითქმის ყოველს მიცვალებულის მოხსენების დღეებში გვაკურთხებინებენ ხოლმე.

ვთხოვთ სინოდის კანტორის ერთ-ერთ წევრთაგან, რომ ამაზედ დაწვრილებით პასუხი დასწეროს, თორემ მრევლსა და მღვდელს შუა უსიამოვნება არ დაილევა.

შტატის დებულების მაღაზიიდან მიიღება წელს პირველი შემთხვევა იქნება; ვნახოთ როგორ გაივლის ეს საქმე.

სოფლელი მღვდელი.

## ახალი ამბები.

წელს შემოდგომაზე, სომხის პატრიარქის გევორქ მეოთხის ნება-რთვით, თფილისში იქნება ყრილობა სომხის ყველა სკოლების მასწავლებლებისა. ამ ყრილობაზე სხვა-და-სხვა პედაგოგიურ საგნებზე უნდათ მოილაპარაკონ.

***

ამ ერთის თვის წინათ ჩვენს ქალაქში დაიწყეს ახალის პურის ცხობა, რომელსაც ხალხი მაშინის პურს ეძახის. ორ-გვარ პურს აცხობენ, პირველის ხარისხისა გირვანქა შაურად ისყიდება და მეორისა—ოთხ კაპეიკ-ნახევრად.

პირველ დღეებში კარგი პური გამოდიოდა და ხალხიც დიდის სიამოვნებით ჰყიდულობდა; მაგრამ შემდეგ მეორე ხარისხის პური მძიმე, უმი და ერთობ შავი გამოდიოდა და ამის გამო ამ ჟამად ხალხი ამ პურს თითქმის სრულიად აღარ ჰყიდულობს.

ეს საქმე ქალაქის რჩევამ ისეთს კამპანიას მიანდო იჯარით, (კამპანიაში ურევია თფილისში კარგათ ცნობილი ბ. სტოცკი), რომლიდამაც სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ და ამიტომ ურიგო არ იქნება, ქალაქის თვით—მართველობა ჩამოართმევდეს ამათ ამ საქმეს და უფრო საიმედო პირებს მიანდობდეს.

***

ამ დღეებში. როგორც სომხური გაზეთი „მეღუ ჰაიასტანი“ გვაცნობებს, ყოფილა კრება სომხის თეატრის კამიტეტისა, რომელსაც საზოგადოებისათვის წარუდგენია თავის მოქმედების წლიური ანგარიში; ამ ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ სომხურ თეატრს წლის განმავლობაში ორი-ათასი თუმანი შესავალი ჰქონია და ათას-ცხრაასი თუმანი გასავალი ასე, რომ ასი თუმანი მოგება დარჩენიათ.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ თეატრალურ ამხანაგობას ამოურჩევიათ ახალი წევრები კომიტეტისა: თავსმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ისევ თ. ნაპ. ამატუნი, იმის თანაშემწედ ვ. მუტაფტიანცი, წევრებად: ბაბ. სუნდუკიანცი, სენაქ. არწრუნი და აზგ. იოანესიანი.

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ იმ სეტყვას, რომელიც ამ თვის დამდეგს იყო და რომელმანც რამდენიმე სოფლის ვენახები და ყანები გააფუჭა კახეთში, იქითკენაც ყოფილა, მაგრამ ცოტა ზარალი მოუცია მოსავლისთვის.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა ქალაქის რჩევამ ერთ-ხმიდ გადასწყვიტა გრაფ ლორის-მელიქოვს ტელეგრამმა გაუგზავნოს და თანაგრძნობა გამოუცხადოს იმ „ნაყოფიერ მოქმედებისათვის“, რომელიც მას მიუძღოდა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ ტელეგრამმაზე ქალაქის თავს ბ. ა. ს. მატინოვს მოუვიდა ამ დღეებში გრ. ლორის-მელიქოვისაგან შემდეგი პასუხი:

„მივიღე თქვენი ტელეგრამმა. გულითადს მადლობას გიძღვნით თქვენ და ქალაქის რჩევას“.

## ქართული ენა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში.*)

> მოყვრის პირში უძრახვენ,
> მტერს პირს უგანათ.
>
> ქართული ანდაზა,

(შემდეგი)

1876 წლიდამ ქართულს ენას მიეცა სხვა უფლება და ადგილი სასწავლებელში. ოთხსავე კლასში, თუმცა ორ-ორი გაკვეთილის მეტი არ იყო დადებული, მაგრამ ამ მცირე დროითაც კარგათ ისარგებლა იმ დროდამ მასწავლებელმა ქართულის ენისამ ილია ზარაფოვმა. კარგი კაფიეთი და გონივრული ქართული წიგნების კითხვის გარდა, ამან შეასწავლა ქალებს მოკლედ სამშობლო ისტორიაც. მე შემთხვევით დავესწარ ქალების გამოცდის დროს 1878 წ. და დიდის სიამოვნებით ვისმენდი ქალებისგან გარდმოცემულს საქართველოს ისტორიას. ამათ ზედ მიწევნით იცოდნენ თვითოეული ისტორიული გვამი და მისი მნიშვნელობა საქართველოს წარმატებისა და ამაღლებისთვის. ქართლოსი, ფარნაოზი, მირიანი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, თეიმურაზ პირველი და მეორე, ერეკლე მეორე, წმ. ნინო, ქეთევან დედოფალი, რუსთველი, ჩვენი თანამედრვე მწერლები ამათთვის არ შეადგენდნენ უცნობს ქვეყანას.

მე ვინატრე, რომ ესევე იყოს დაყენებული სამშობლო ენა და ისტორია სხვა ჩვენ სასწავლებლებშიაც და ესეთივე ნაყოფი მაინც მოჰქონდეს, ვიდრე ეხლა მოაქვსთ მათ. მაგრამ შემდეგ ამისთანა ნატვრისა უცებ მომაგონდა აღნიშნული სასწავლებლის ერთი შესანიშნავი უწესოება სამშობლო ენის ხმარების შესახებ.

რაც ვსთქვი სამშობლო ენასა და ისტორიაზედ, ყველა ეს ეხება მხოლოდ ნორმალურ კლასებს და არა მოსამზადებელს. ეს უკანასკნელი, როგორც მე მაშინვე გადმომცეს და რომელშიაც მე დავრწმუნდი ნამდვილის წყაროებიდამ, სულ სხვა გვარად იყო მოწყობილი. ამ კლასში იღებდენ ყველას დიდს და პატარას, უსწავლელს და ნასწავლს, აზნაურს და გლეხს, სომეხს და ქართველს დროს გაურჩევლად. ამ უწესოების დასაფარავად ერთი წესი იყო შემოღებული, რომელიც შეადგენდა ყველა მოსწავლე ქალისთვის აუცილებელს მოვალეობას—ქართული ენა, ვისაც პირში ჰქონდა უნდა ამოეღო, მოეჭრა და მის მაგიერ რუსული ენა ჩაედგა. მაგრამ რადგან ამის მოხერხება ყოვლად შეუძლებელი საქმე იყო, ამისთვის თუმცა ყველა ქალებს ქართული ენები პირში ეწყოთ, მაგრამ ქართულად კი ხმის ამოღება არ შეეძლოთ, რადგან რალაც გულზედ „ფაცრის“ ჩამოკიდებისა ეშინოდათ და იყვნენ ამ ყოფაში იმ დრომდის, ვიდრემდის ერთს ან ორს დამახინჯებულს რუსულს სიტყვას ყურს მოჰკრავდნენ, ან მასწავლებელი—ქალები ეტყოდნენ ამათ. მაშინ იწყებოდა რუსული სიტყვების ტანჯვა და ჯვარცმა: სიტყვებს უგზო-უკვლოდ ისროდნენ და მათი ნამდვილი მნიშვნელობა კი არ ესმოდათ. ბოლოს ეჩვეოდნენ ხშირის გამეორებით მეხანიკურს ხმარებას რუსული სიტყვებისას და ამ გვარათ ქართული ენა ეცვლებოდათ რუსულად. მაგრამ ვაი ამ შეცვლას. ეს ენა იყო კაჭკაჭის ენა და არა გონიერი არსებისა.

ამისთანა მტარვალობის წინააღმდეგ ბევრი ითქვა სადაც და ვისთანაც ჯერ-იყო, მაგრამ მთქმელს გამგონე არა ჰყვანდა, ანუ ჰყვანდნენ იმისთანანი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქართვლის ქალები ეხლა სულ რუსულათ ლაპარაკობენ, ვისაც კარგათ უნდა შეისწავლოს რუსული ენა, იმან აზბუკიდამ უნდა დაიწყოს სწავლა და არა ანბანიდამ და სხვ. [illegible]

ესრეთ ტანჯვა-წამებაში იყო ქართული ენის მქონი ქალი თელავის სასწავლებელში 1879 წ.

1879 წელს ქართულს ენას მიეცა ადგილი თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს მოსამზადებელს კლასშიაც; ასწავლიდა ერთი კლასის ქალთაგანი, როგორ და რას, ეს ერთმა მხოლოდ ღმერთმა იცის. საუბედუროდ, ეს ქალი მასწავლებელი ბ. ვაჩნაძისა ჩქარა სცვლის ამ ადგილს სხვა ადგილზედ და ქართული ენა ისევ უქმდება მოსამზადებელ კლასში 1880 წლამდე მიზეზი ამისი, რალა თქმა უნდა სილარიბე და უფულობა უნდა იყოს. ეს იქიდამ სჩანს, რომ მოსამზადებელ კლასში მხოლოდ მაშინ დაიწყეს წელს ქართული ენის სწავლა, როდესაც მისმა მასწავლებელმა სურვილი გამოაცხადა, რომ ერთს გაკვეთილს ქართულის ენისას ის უფასოდ მისცემს (კვირაში ორი გაკვეთილი არის დანიშნული მოსამზადებელ კლასშიაც, როგორც სხვა კლასებშიაც), და მაშასადამე სასწავლებელი ეხლა მხოლოდ ერთი გაკვეთილის ფასს იხდის კვირაში. სხვა კლასებშიაც ესევე მასწავლებელი ქრისტეფორე ზარაფოვი ასწავლის ეხლა ქართულს ენას, რადგან ი. ზარაფოვმა დაუთმო ამას ქართული ენა სეკტემბრიდამ 1880 წლისა.

თუ როგორ მიდის ეხლა ამ საგნის სწავლა, შეუძლიან თვით მასწავლებელმა გააცნოს მკითხველი საზოგადოება, თუ ამას ეს საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახავს. ხოლო ჩვენ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ თებერვლიდამ 1881 წლისა წმ. ნინოს სასწავლებელში ყველა კლასებში ასწავლიან ქართულს ენას. საქმე მხოლოდ ის არის, დიდხანს გასტანს ამისთანა მდგომარეობა ქართულის ენისა, თუ არა, ან რა იყო მიზეზი, რომ სამშობ-

*) იხ. „დროება“ № 116.

---

«დროების» ფელეტონი, 9 ივნისს.

## მოგზაურობა კახეთში *)

(დასასრული)

უწინ ქალაქს თელავს ერქვა „ვარდის-უბანი“ და მართლაც თელავის აღმწერს შეუძლიან მხოლოდ სთქვას, რომ ეს ქალაქი არის „ვარდის-უბანი“, მაშინ მკითხველი გაიგებს—თუ რა არის თელავი. ვერც ლამაზი ქუთაისი, ვერც სხვა ჩვენებური ქალაქი, მგონია ვერ შეედრება თელავს ბუნებითის სილამაზით.

თელავი გაშენებულია ციცის მთის ერთს გამოშვერილს კალთაზე. აქედგან მოჩანს მთელი ალაზნის ველი (თელავის მაზრის ნაწილები) თავის სოფლებით. ჩამოუდის რამდენიმე პატარა რუები, შიგ ქალაქში ამოდის მრავალი წყაროები, სასმელად საამო და მარგებელი. მაღლიდგან დაჰყურებს ციცის წვერი, რომელიც მუდამ უგზავნის გრილს ნიავს, რის გამო ზაფხულში აქ არა ცხელა, როგორც ველებზე. მცენარეულობა მრავალი.

თელავი 793 წელში ააშენა კვირიკემ. კვირიკეს ციხე ეხლაც მთელია და აშენებულია ქვით და აგურით. გალავანში ქვა რიგზე არ არის ჩაწყობილი, არამედ არეულ-დარეულად. მაშასადამე იმ დროს ჯერ არ იცოდნენ კედელში ქვის რიგზე ჩაწყობა, მაგრამ იცოდნენ აგურის კეთება. ამ წლებში რუსეთის ხალხმა არა თუ იცოდა აგურის კეთება, არამედ არც კი არსებობდა, როგორც სახელმწიფო, და ხალხი იყო ველური.

საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ თელავი დიდ ხანს (საუკუნეზე მეტი) არ იყო ჯერ დედა-ქალაქი კახეთის სამეფოისა, არამედ დედა-ქალაქად ითვლებოდა ეხლანდელი სოფ. გრემი (ალაზნის გაღმა მთის ძირში), სადაც სცხოვრებდა მეფე ლეონი, რომელიც გამხედრდა იერუსალიმის დასაპყრობად. ბოლო დროს არჩილ მეფემ მე-XVII საუკ. გადმოიტანა თავის ტახტი თელავში. არჩილმა განაახლა ის ციხე, რომელსაც ეხლა ჰქვიან „ბატონის-ციხე“ თავის კოშკებით. აქვე არის ეხლა დარჩომილი ის სასახლე (ქალების სკოლა), რომელშიაც გაატარა უკანასკნელი დღენი თვისნი ირაკლი მეორემ თბილისის გაოხრების შემდეგ 1795 წელში შაჰ-ნადირისაგან.

ირაკლის სასახლის წინ არის ბაღი, რომელშიაც იზრდებიან მთელი საუკუნის ხეები, ის ხეები, რომლებ ქვეშაც მტრებთან ბრძოლით დაღალულ ირაკლის მოუწმენდია თავის შუბლიდგან სისხლის ოფლი და მოუსვენებია მძლავრი მკლავები. ამავე ციხეში არის ანტონის (ქათალიკოზის) საზაფხულო ადგილ-სამყოფელი. აქ ეხლა სასულიერო სასწავლებელია.

დიდს შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე ეს ბატონის ციხე, ის ეკკლესია, რომელშიაც ირაკლი ლოცულობდა, ის ხეები, რომლებ ქვეშაც აღიზარდა ირაკლი, იმ სასახლე, რომელშიაც დალია სული ამ გმირმა შემდეგ 54 წლის შესანიშნავ მეფობისა!

თელავი ლამაზია დაუფასებელი, მაგრამ იგეთი გონიერი კაცი, როგორიც არის ჩ—შვილი, არ ვიცი, როგორც, მაგალითებრ, არის ბატონიშვილს ციხის ალაყაფის კარები, ან ბაზრის ქუჩები, ან რიყე.

ერთ ნაწილს თელავისას ეხლა ჰქვიან ნადიკვარი. აღდგომის მესამე დღეს გამოვიდნენ აქ მთელი თელავის მცხოვრებნი. აქედგან ჩვენ წავედით „ურუს-ხევისკენ.“ ეს არის პატარა ნაკადული, შესდგება იმ წვეთებიდგან, რომელნიც წვე-წვეთად გამოსდიან ციცის ერთ კალთას. წყალი ცივია; მის არხში ჩვენ ვპოვეთ ბევრი გაქვავებული ნივთები: ფოთლები, ჩხირები, ჭიები და სხვანი. რათ ჰქვიან ამ წყალს „ურუს ხევი“—ღმერთმა უწყის.

მეორე დღეს ჩვენ ავედით „უძიროტბის“ სანახავად. ეს არის ერთ მაღალს ფერდობზე ციცის მთისა. იქ

*) „დროება“, № 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ენამ ყველა საგნებზედ უკან შედგა ფეხი წმ. ნინოს სასწავლებელში? განა სამშობლო ენა სხვა საგნებზედ ძირსა დგა თავის ღირსებით და მნიშვნელობით? ან იქნება თვით ქართული ენის დაცემა იყოს ამის მიზეზი? რა უნდა იყოს ამის მიზეზი, თუ ერთი უმეცრება და გაუგებრობა არა სამშობლო ენის მნიშვნელობისა ახალ-თაობის აღზრდაში? მაგრამ ეხლა ჩვენ ეს საგანი არ გვაწუხებს, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ის გვეთქვა, რომ სიღარიბე და უფულობა წმ. ნინოს სასწავლებელში დაეტყობოდა ხოლმე და ეხლაც ეტყობა მხოლოდ ჩვენს სამშობლო ენას; მაშინ ასწავლიან ამას, როდესაც მუქთ მასწავლებელს შოულობენ, ამაზედ ფულის დახარჯვა უნაყოფო ხარჯათ მიაჩნიათ. აი სად უნდა ვეძებდეთ და ვპოვობდეთ ძირეულს სენს სასწავლებლისას; ამ გვარს საძირკველზედ აშენებული სასწავლებელი, რომელიც უნდა გვაძლევდეს ნამდვილ ქართველ დედებს, ზნეობით გაცვეთილ და გონებით დაფუტუროებულ ქალების მეტს ვერ მოგვცემს...

მეტი არ იქმნება აქ ერთი ხანა ამოვიღოთ აღნიშნულის სასწავლებლის ცხოვრებიდამ. ყველამ იცის, რომ დაბალი სასწავლებელი არ უნდა ხდებოდეს უკანასკნელ მიზნად სწავლისა, არამედ მოსამზადებელ ანუ ქვემო საფეხურად განათლების კიბისა, რომელსაც უნდა აჰყავნდეს კიბის ზემოთა საფეხურამდის ანუ უმაღლეს სწავლამდის. როდესაც დაბალი სასწავლებლის მოსწავლე კურსის შესრულების შემდეგ ზარობს საშუალო (არ ვამბობთ უმაღლესს) სასწავლებელში გადასვლას, როდესაც ამისთვის მას არაფერი ეხარჯება გონებითი ჯაფის მეტი და სხეულის აგებულებაც ამაზედ ხელს უწყობს, ეს არ გვიხატავს სანატრელს მიმართულებას სასწავლებლისას, ეს პირ-და-პირი შედეგია სასწავლებლის გონებითის დაცემისა, მიზნის დამახინჯებისა. თბილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების შემწეობით, 1869 წლიდამ თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელი თითო ქალს იღებს თავის ხარჯზედ ყოველს წელს ახლად კურს შესრულებულ თელაველ ქალთაგან, თუ მსურველი აღმოჩნდებოდა ვინმე. აღნიშნულს წელს მსურველნი სწავლის გაგრძელებისა საშუალო სასწავლებელში თბილისში რამდენიმე აღმოჩნდა, მაგრამ სასწავლებლის ბჭობამ ღირსეულად იცნა მხოლოდ ერთი თამარა ჯორჯაძე.

1880 წელს კი არც ერთმა არ ისურვა სწავლის გაგრძელება, რადგან ქალთა გონება დამორჩილებული ჰყვანდა სხეულის აგებულობის წარმატებას და ნამდვილი ცხოვრების დაწაფების სურვილს.

ამის შემდეგ რა უნდა ვიფიქროთ ქალების მიმართულობაზედ, მათის გონებითს წარმატებაზედ, მათ ხელმძღვანელებზედ და გავლენის მქონე გვამებზედ?—ამაზედ პასუხი მათთვისვე და მკითხველისთვის მიგვინდვია. ვისურვოთ მხოლოდ, რომ ამისთანა მოვლენა აღარ გამეორებულიყოს დასამცირებელად ჩვენის ახალგაზდა ქალებისა და განსაკუთრებით მათის უშუამავლო ანუ პირ-და-პირი ხელმძღვანელებისა.

რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის ქალები კურს გათავების შემდევ არ აგრძელებენ სწავლას? ამის ასახსნელად შეიძლებოდა მრავალი საბუთების მოყვანა, მაგრამ აქ ჩვენ ვაჩვენებთ მხოლოდ ერთს, რომელიც ჩვენის აზრით, ყველაზედ საყურადღებოა. ეს გახლავთ ახალგაზდა ქალების ტვინის გატენა ერთის მხოლოდ გაკვეთილების გაზეპირებით. ქალთა ხელმძღვანელნი დარწმუნებულნი არიან, რომ გაკვეთილების გაზეპირება არის ანი და ჰე ქალთა განათლებისა. ამათ ჰგონიათ, რომ გაკვეთილს გარდა სხვა საყმაწვილო წიგნის კითხვა არის მომაკვდინებელი ცოდვა და ყოველის ღონისძიებით ცდილობენ დაიხსნან ქალები ამისთანა საზარალო ცოდვისაგან. მაგრამ მიუხედავათ ამისთანა სიფრთხილისა, ქალები მაინც სცოდვენ, მაგრამ იმ გარჩევით კი, რომ მათ ეს შეცდომა მოსდით უმეტესად უმეცრებისაგან, გონებითის გაუხსნელობისაგან.

მე ვერ ვიცნობ ვერც ერთ ქალს ამ სასწავლებიდამ გამოსულს, რომელიც გამოჩენილიყოს ჩვენს ყველაფრით დაცემულს საზოგადოებაში ან კარგის დედობით და ან კარგის მასწავლებლობით. სწავლა-განათლების ხალისი ამით დაკარგული აქვსთ. კურსის გათავება და წიგნის კითხვის სიძულილი ერთია. რით აიხსნება ეს, თუ მთელი სასწავლებლის მოწყობილობით და იქ მოსამსახურე და პირ-და-პირი ხელმძღვანელების (უფროსის და კლასის ქალების) მიმართულობით არა? ახალი-თაობა ხელმძღვანელების მიხედულობით არ უნდა ადგენდეს და მისდევდეს თავის ყოფა-ცხოვრებაში იმ მიზანს, რომელიც ჰქადაგებს: კარგი სვი-და-ჭამე, უკანასკნელ პარიჟის მოდაზედ მოირთე, ვეჩერებსა და ბალებს ნუ დააკლდები, თვალების სიფრთხილით ნურაფერს წაიკითხავ, მეგობრად უგუნური, უზნეო, და უხასიათო კაცი აირჩიე და სხვ. და სხვ. მაგრამ როდესაც უყურებ, რომ ყოველივე ესენი წინაალმდეგათ სრულდება, ხალხისადმი სიძულილი გებადება და გასწორების იმედი გეკარგება.

ამისთანა სასწავლებელს და მისს მიმართულებას, თუ ამაზედ შეადგინა რაიმე აზრი მკითხველმა, რით შესცვლი, გადაახალისებ, თანამედროვე სიცოცხლის ნაკადულს დააწაფებ, თუ [illegible], რომ მახლობელ [illegible] დაანახო, რომ უწინდელს მიზანს, როგორიც იყო მისს დაარსების დროს, და მისგან გამოღებულ ნაყოფთა შორის არავითარი არსებითი კავშირი არ არის! საქმეც იმაშია, რომ ყველა ერთის თვალით და ერთნაირის მხედველობით არა ვართ აღჭურვილნი. ყველას თავის უგვანი შეხედულობა მიაჩნია უწარჩინებულესად და გაჰყავს კიდეც, რადგან ამისთვის თვითეულს მათგანს აქვს მინიჭებული მტარვალური უფლება და საშუალებანი. მაშასადამე გამოცვლა რისამე ამისთანა წრეში ისე ადვილი არ გახლავთ, როგორც შეიძლება ზოგიერთს ეჩვენებოდეს.

უმეტესად საძნელოდ ხდება ცვლილება, როდესაც ეს შეეხება ქართულს ენას და მისს წარმატებას. რისთვის და ვისგან, ამაზედ საუბარი ეხლა არავისთვის საჭირო აღარ არის, რადგან ყველამ ზედ-მიწევნით იცის ამის პასუხი. **საქმე იმაშია, რით შეიძლება სამშობლო ენის წარმატება ანუ გაძლიერება თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში?**

(დასასრული შემდეგ)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების

---

ასვლა ადვილი არ არის. გზაზე შეგვხვდა მრავალი პატარა გუბეები, რომელნიც წყლით იყვნენ სავსე. შესანიშნავი ის არის, რომ ამ სიმაღლე მთაზე მოიპოვებიან ამისთანა გუბეები და ტბებიც კი. ყველა ეს ადგილები ჭაობიანია და ტყით მოცული. უძირო ტბას უჭირავს ჩაღრმავებული ადგილი; წყალი შიგ უწმინდურია და გამწვანებული; პირზედ მოუგდია ხავსი და ამ ხავსზედ ამოსულა ჩალა, ეს ჩალა დამპალა და მიწად ქცეულა, ასე რომ წყლის პირზე მიწა გამაგრებულა და ზედ ხეები (მურყნები) ამოსულა; ამ მურყნებზე რომ ავედი, მთელი ტბის პირი დაინძრა და ქანაობა დაიწყო. ტბაში სცხოვრობენ შესანიშნავი წურბლები; ჩვენ აქ ყოფნის დროს წურბლების მჭერლები იყვნენ; ცდილობდნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, რადგან ციოდა.

მრავალი ნაკადულები და წყაროები ამ მთებიდგან ჩანჩქარით ჩამორბიან ძირს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამავე მთის ფერდობებზე ამოდის ნავთი; მაგ. სოფ. ახტალაში, სადაც არის შესანიშნავი ეკლესიების ნანგრევები და ზემო-ხოდაშენის წყლის სათავეებზე, სადაც ნავთის ჭების გარდა, არის კიდევ მარილიანი წყალი.

თელავის ინტელიგენციას სხვათა შორის შეადგენენ იქაური სკოლების მასწავლებელნი, რომელთაც პირობა დაუდვიათ, რომ იშრომებენ და შეისწავლიან კახეთს ზედ-მიწევნით და თავიანთ შრომას ამ ქვეყნის შესახებ დაბეჭდავენ ერთ წიგნში, რომელსაც ერქმევა „კრებული“; ეს „კრებული“ არ იქნება მოკლებული სურათებსაც. ისინი მოიწვევენ ყველას, ვისაც კი შეუძლიან რამე შემწეობა მისცეს იმ საზოგადოებას წერით ან მასალების წარმოგზავნით. ეს ყმაწვილ-კაცები ასე სჯიან: „ჩვენზედ ახლო არის კახეთი; მთელი ქვეყნის შესწავლა (მეტე ისეთის, როგორც ჩვენი ქვეყანაა) ძნელია, თუ კაცი არ მოივლის მას. ჩვენ გარემოება ძლიერს მოგვცემს ნებას კახეთი მოვიმგზავროთ და გავიცნოთ. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ შევისწავლოთ კახეთი და სხვებმა ჩვენის ქვეყნის სხვა მხარეები შეისწავლონ და აღწერონ.

ჩვენ ვისურვებთ, რომ ამ გვარი კაცები აღმოჩნდნენ გორის მაზრაშიაც, ქუთაისშიაც, ახალციხეშიაც, ზუგდიდშიაც, რომ ცოტაოდნად მაინც იქმნეს შესწავლილი ჩვენი ქვეყანა. კარგი იქნება რომ თელავის წრემ თავის პროგრამმა გამოაცხადოს საყურადღებოდ და სამაგალითოდ სხვებისათვის.

სხვათა შორის ქების ღირსნია აქაურ სასულიერო სასწ. ზედამხედველი ნ. მთვარელოვი, რომელიც გარდა ამ წრის ხელმძღვანელობისა და იქაურ სკოლის სამაგალითო ნიადაგზე დაყენებისა, სწერს სხვა-და-სხვა სტატიებს. აგრეთვე დაუღალავნი მშრომელნი: რომან ცამციევი და ივანე როსტომაშვილი; როგორც პირველს, ისე მეორეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მათ ნაწერებით „დროება-ივერიაში“. ამათ აქვთ შემზადებული მრავალი წერილები: ი—რ—ლს 29 მარტს წაუკითხავს ლექცია და შემოსული ფული იმ ლექციიდგან შეუწირავს კახეთის „კრებულის“ გამოსაცემად.

წასაბაძავნი არიან სწორეთ ეს პატივ-ცემული პირები. და არა ჰგვანან ესენი იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ზედამხედველობას, ან მასწავლებლობას, ან სხვა თანამდებობას გაიკრავენ და მერე მიეცემიან ქეიფს, ლოთობას, რომელთაც დაავიწყდებათ საზოგადო საქმე და ემსახურებიან თავის ჯიბეს და თავის პიროვნებას, და, თუ საჭიროება მოითხოვს, ღონიერებს გაუგორდებიან ფეხ-ქვეშ და ფეხის გულებს აულოკვენ.

მ. ჯანაშვილი.

ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი მარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი - შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათაყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათცყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს სააავათმყოფოს ბარათებით.

# განცხადებანი

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი ხოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ზურზლებისა, კრაკატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას იგარები. (100—83)

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფილდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—83)

**ანგარიში ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის 1880 წ. შემოსავალ-გასავლისა**

პირველ იანვარს 1880 წ. იყო:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) წილის ფული — | 5097—96 |
| 2) შესანახავათ შემოტანილი — — | 2,560— „ |
| 3) ნასესხი — — | 1,500— „ |
| 4) სათადარიგო თანხა | 163—87 |
| 5) წმინდა მოგება — | 1012—41 |
| სულ— | 10,334—24 |

ამ ფულებიდამ გასავალშიდ იყო

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) გასესხებული — | 10183— „ |
| 2) ნაღდი ფული — | 81—24 |
| 3) ნივთი (ზანდუკი) | 70— „ |
| სულ— | 10,334—24 |

1880 წელს

შემოვიდა

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) წილის ფული — | 740— „ |
| 2) სარგებელი — | 1059—77 |
| 3) ჯარიმა — — | 17—72 |
| 4) დაბრუნებული სესხი | 16,995— „ |
| 5) შესანახავათ შემოტანილი — — | 200— „ |
| 6) სათადარიგო თანხა | 280—33 |
| 7) სხვა-და-სხვა შემოსავალი — — | 47—55 |
| სულ— | 19,340—37 |

გასავალი

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) წილის ფული გატანილი — — — | 105— „ |
| 2) მოგება წილზედ 1879 წლისა — | 668—37 |
| 3) გასესხებული — | 16,293— „ |
| 4) სარგებელი ვადაზედ წინეთ გადახდილი ნასესხი — — | 16—63 |
| 5) შესანახავათ შემოტანილი — — | 1520— „ |
| 6) სარგებელი შესანახავათ შემოტანილი | 44—17 |
| 7) სარხებელი ნასესხისა | 23—20 |
| 8) სამართველოს და სხვა ხარჯი — — | 129—85 |
| 9) ალებ-მიცემისა — | 280—33 |
| სულ— | 19,080—85 |

პირველს იანვარს 1881 წ. იყო:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) წილის ფული — | 5,732—96 |
| 2) შესანახავათ შემოტანილი — — | 1,240— „ |
| 3) სათადარიგო თანხა | 444—20 |
| 4) ნასესხი — — | 1,500— „ |
| 5) წმინდა მოგება — | 974—90 |
| სულ— | 9,892—63 |

ამ ფულებიდამ:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1) გასესხებული — | 9,481— „ |
| 2) ნაღდი ფული — | 341— 6 |
| 3) ნივთი (ზანდუკი) | 70— |
| სულ— | 9,892—6 |

პირველ იანვარს 1881 წ. რიცხვი ამხანაგობის წევრთა იყო 273 სული ორივე სქესისა, რომელთაც ქონდათ შემოტანილი წილის ფული 5,732 მან. 96 კაპ., მათ რიცხვში სრული წილის ფული ქონდათ შემოტანილი 46 პირს.

1880 წ. წმინდა მოგებისაგან ჩვეულებრივი კრების გარდაწყვეტილებით, რომელიც დადგინდა 24 მაისს ამა 1881 წელსა, მიეცა თვითეულ წევრს ამხანაგობისას დივიდენდათ წილის ფულზედ მანეთზედ 15 კაპ.

ამხანაგობა 1880 წ. განძავლობაში აძლევდა შესანახავათ მობარებულ და ნასესხ ფულს 6, 7 და 8% და თვითონ იღებდა 12%.

წევრნი გამგეობისა. { რუბენ გიორგის-ძე დოდაბერიძე. მღვდელი ანდრია მოსეშვილი. ლევან მოსეს-ძე ცაგერეიშვილი.

(3—2)

**ანგარიში**

**თიანეთისკა მსესხებელ და შემნახველ ამხანაოგბისა 1880 წლისა.**

**1 იანვარს 1880 წელისა იყო**

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,191—87 | გასესხებული — — | 5,461— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 1,040— „ | ზიანი — — — | „ — „ |
| ნასესხი: ა პირველ დაწყებითა — — | „ — „ | დანაშთენი: | |
| ბ) მეორე შემდგომ აღებული — — — | 2,210— „ | ნაღდ ფულად — — | 1,115—29 |
| სათადარიგო თანხა — | 255—67 | სარგებლიანი ქაღალდებით — — — | 165—66 |
| წმინდა მოგება — — | 389—41 | საკრედიტო განწესებულებათ — — — | 125— „ |
| | | საურთიერთო ნდობის საზოგად. საწევ. შესატ. | 220— „ |
| ჯამი— | 7,086—95 | ჯამი — | 7,086—95 |

შემოსავალი: 1880 წელსა გასავალი:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 633—71 | წილადი ფული — — | 645— 5 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს — | 485—17 | მოგება 1879 წლის წილადებ მიცემული — | 70— „ |
| ჯარიმა — — — | 90—18 | გასესხებული — — | 3,693— „ |
| დაბრუნებული სესხები | 3,175—70 | სარგებელი დაბრ. ვადაზე წინ გადახდ. სესხი — | 12—14 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 397— „ | სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 150— „ |
| ნასესხი: პირველ-დაწყებით. — — — | „ — „ | სარგებ. სასარგებლოთ შემოტანილისათვის— | 8—48 |
| ბ) შემდგომ აღებული | 8,000— „ | ნასესხი: | |
| სათადარიგო თანხა — | 35—29 | ა) პირველ დაწყებითი— | „ — „ |
| სარგებლიანი ქაღალდები | „ — „ | ბ) შემდგომ აღებული— | 7,000— „ |
| სარგებელი სარგებლიანი ქაღალდებისა — — | „ — „ | სარგებელი ნასესხებზედ მიცემული — — | 311—61 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი — — — | „ — „ | სათადარიგო თანხა — | „ — „ |
| ალებ-მიცემის შემოსავალი — — — | „ — „ | სარგებლ. ქაღალდები— | „ — „ |
| | | სარგებელი სარგებლიანი ქაღალდებისა — — | „ — „ |
| | | სამმართველოს ხარჯი— | 220— „ |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი— | „ — „ |
| | | ალებ-მიცემობის გასავალი— — — — | 162—91 |
| ჯამი— | 12,817— 5 | ჯამი — | 12,273—19 |

1 იანვარს 1881 წელსა არის:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,180—53 | გასესხებული — — | 5,978—30 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 1,287— „ | ზიანი— — — — | „ — „ |
| ნასესხი: ა) პირველ დაწყებითი — — — | „ — „ | დანაშთენი: | |
| ბ) შემდგომ აღებული— | 3,210— „ | ნაღდ ფულად — — | 1,659—15 |
| სათადარიგო თანხა — | 290—96 | სარგებლიან ქაღალდებით— — — — | 165—66 |
| წმინდა მოგება — — | 179—62 | საკრედიტო განწესებულებათა შინა— — | 125— „ |
| | | საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი— — | 220— „ |
| ჯამი — | 8,148—11 | ჯამი— | 8,148—11 |

გამგებლები: { გ. ჯაფარიძე. გ. გოჯაევი. დ. როსტომაშვილი.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1881 г. ТипографіяС. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი